www.tezaurliturgic.ro

განგება

ღირსისა მამისა ჩუენისა
გრიგოლ ხანძთელისა

არქიმანდრიტისა უდაბნოთა კლარჯეთისათა და

აღმაშენებელისა ხანძთისა და შატბერდისა

თუესა ოქტომბრის 5-სა

დიდ მწუხრსა ზედა

ვჰგალობთ **ნეტარ-არს კაცსა,** I აღსავალსა.

უფალო ღაღად-ვყავსა ზედა დასდებელი,

მუხლი 8. კმაჲ 5.

ღირსისა გრიგოლისა.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, ანგელოზთა თანამზრახუალო და თანამყოფო და თანაზიარო წინაჲსწარმეტყუელთა, წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა და თანამკჯდრო ნათელსა წარუალსა, რომელი ჰნათობ ბრწყინვალებითა საღმრთოჲთა, რამეთუ წინაშე მისსა ჰსდგა განბრწყინვებული მადლითა კადნიერად და ყოვლადვე ხედავ მისსა მას დიდებასა და მარადის იშუებ მისთა მით სიკეთითა, ქრისტესა ევედრე, ქრისტჱს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშჯდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, ვარსკულავო უდაბნოჲსაო, ბრწყინვალებაო საღმრთოჲსა სიყუარულისაო და განმანათლებელო მონაზონთაო, სუეტო შეურყეველო მოთმინებისაო, სიმტკიცეო და ძელო ეკლესიისაო, ლამპარო ყოვლადბრწყინვალეო და მნათობო ყოვლისა სოფლისაო, სათნოებათა საუნჯეო, რომელმან ქალაქ-ჰქმენ უქმი უდაბნოჲ და ვითარცა სამოთხჱ ესე გამოაჩინე, ქრისტესა ევედრე, ქრისტჱს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშჯდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, სიქადულო მონაზონთაო და სიმტკიცეო მართლისა სარწმუნოებისაო, სამებისა წმიდისა გამორჩეულო მსახურო, მოდასეო ანგელოზთაო, ქუეყანით ზეცად ამაღლებულო მონაზონთა წინამძღუარობითა, სასუფეველსა დამკჯდრებელო, ანგელოზებრივ გალობითა ზეცისა მოქალაქეო, წმიდათა თანა გჯრგჯნოსნებითა ნათელსა შინა ღმრთისა ხედვითა განჰბრწყინვებულო და წმიდითა ლოცვითა შენითა მეოხო ყოველთა პატივისმცემელთა შენთაო, ქრისტესა ევედრე, ქრისტჱს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშჯდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, ანგელოზთა თანა შეერთებულო ტაძარო საიდუმლოთაო, უფსკრულო გულისკმისყოფისაო, მხილველო გამოუთქმელთაო, მამაო მამათაო, თავო მონაზონთაო და წინამძღუარო განშორებულთაო, რომელი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებ მრავლითა ბრწყინვალებითა განათლებული და შემწე ხარ მვედრებელთა შენთათჯს, ქრისტესა ევედრე, ქრისტჱს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშჯდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

სხუაჲ დასდებელი კმაჲ 2

ეჰა გჯრგჯნნო

ვითარიმე ქებისა გჯრგჯნი შეუთხზნათ ქრისტეს ეკლესიისა სიმტკიცესა და ყოველთა განმაბრწყინვებელსა სწავლითა, ჰელმწიფეთა თვალუხუავად მამხილებელსა და ყოველთა შუამდგომელსა და შემწესა, ყოველთა ჭირვეულთა ნუგეშინისმცემელსა და ყოველთა განსაცდელსა შინა მყოფთა შესავედრებელსა, კეთილმსახურებისა სუეტსა, მორწმუნეთა წინამბრძოლსა, ყოვლადქებულსა გრიგოლს, რომლისა მიერ აღძრვანი მტერთანი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

2-გზის

ვითარითა ქებისა საგალობელითა უგალობდეთ მსგავსად ღმრთივბრწყინვალისა ვარსკულავისა უდაბნოსა შინა დამკჯდრებითა განბრწყინვებულსა, და ნერგსა სამოთხისასა, ნაყოფისა კეთილისა გამომღებელსა, დიდსა შემწესა და მოძღუარსა, ყოველთა უკეთურთა და უდებთა მარცხუენელსა, რომლისათჳსცა აღძრვანი მათნი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

ვითარითა ქებისა გალობითა უგალობდეთ ეკლესიისა შემამკობელსა და მწყემსსა და მოძღუარსა ივერიელთასა, რომელი მსგავსად მზისა გამოუჩნდა ერსა ჩუენსა და განსწავლიდა ღმრთისა და მამულისა სიყუარულითა, რომლისათჳსცა მისსა მიმართ დაგჳძს სასოებაჲ ჩუენი, რაჲთა ერთობითა სარწმუნოებისაჲთა და სიყუარულითა აღვიარებდეთ, ვითარცა წინამძღვარსა და სიმტკიცესა ერისა ჩუენისასა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აწ განსცხრებოდეთ დღესასწაულის მოყუარენო, და ქებითა გალობისაჲთა უგალობდეთ და შევასხმიდეთ, მღდელთა სიქადულსა და ხანძთისა დიდებასა, წყაროსა საკჳრველებათასა და მორწმუნეთა დიდსა მეოხსა და შუამდგომელსა: გიხაროდენ, კლარჯეთისა სავანეთა მცველო მიურულებელო და უქმთა უდაბნოთა ქალაქმყოფელო, გიხაროდენ, სასანთლეო ყოვლადბრწყინვალეო, რომელმან კიდენი სოფლისანი საკჳრველებითა განანათლენ, გიხაროდენ ჭირვეულთა საღმრთოო სიხარულო და განსაცდელთა შინა მყოფთა მჯურვალეო შუამდგომელო, ღირსო და საკჳრველთმოქმედო მამაო გრიგოლ, დაუცხრომელად ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რომელნი სარწმუნოებითა და სიყუარულით პატივს-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლადსანატრელსა ჴსენებასა შენსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძჱ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოჲსა გამოვიდა გამოუთქმელად ჴორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა.

შესვლად. წარდგომა დღისა
საწინაწარმეტყველონი; საკითხავი ღირსისა.

1. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. **(მართალთა სულნი ხელთა შინა ღმრთისათა...)**

2. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. **(მართალნი საუკუნოდ ცხოვნდეს. და უფლისა მიერ...)**

წერილ-არს, მარტის 9-ს.

3. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი **(მართალი თუ აღესრულოს განსუენებასა შინა...)** წერილ-არს მაისის 7-ს.

ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა,
ესრეთ ღირსისა გრიგოლისი. თვით-ხმოვანი.
კმაჲ 2

ქუეყანასა ზედა ანგელოზო და ცათა შინა კაცო ღმრთისაო, სოფლისა კეთილად განმამშვენებელო და სიტკბოებითა სახიერო, მამაო გრიგოლ, გაქებთ შენ, რომელი დაენერგე სახლსა შინა ღმრთისასა და აღყუავდი სიმართლითა, და ვითარცა უდაბნოსა ზედა ნაძვი, ესრჱთ განამრავლე სამწყსოჲ ქრისტჱსი, ღირსად და სამართლად სიტყჳერნი ცხოვარნი და მნათობ სოფლისა იქმენ ჭეშმარიტებით.

გამოშჩნდი, მამაო გრიგოლ, მთავრად მონაზონთა და ქალაქმყოფელ უქმთა უდაბნოთა და ჰკურნებ უძლურებისა ჩუენისა ვნებასა სარწმუნოებით მგალობელთა შენთასა: გიხაროდენ, აღმოსავლეთისა ვარსკულავო ყოვლადბრწყინვალეო, და მონაზონთა განმანათლებელო ლამპარო და მწყემსო, გიხაროდენ, კეთილმოქმედებითა მმარხველთა სიქადულო და ყოვლისა სოფლისა სახარულევანო ბრწყინვალებაო, მეოხ-გუეყავ მგალობელთა შენთა.

სამღუდელოჲთა სამოსელითა შემკობილმან ღმრთივმშუენიერად ჰქადაგე შენ სახარებაჲ სასუფეველისაჲ და გალობანი საეკლესიონი აღმოსთქუენ და ეკლესიაჲ განამდიდრენ მოძღურებითა საღმრთოჲთა, რომლითა აწ განათლებულნი გადიდებთ კაცსა ზეცისასა და ქუეყანისა ანგელოზსა, სოფლისა სამკაულსა და მოღუაწეთა თუალსა, რომელმან განამრავლენ სამწყსოჲ ქრისტჱსი და სიმართლითა და სიწმიდით წინამძღუარ ექმენ მოღუაწეთა, და მეოხ-ხარ ღმრთისა მიმართ სულთა ჩუენთათვის.

დაუტევე, წმიდაო, სოფელი და აღიღე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო მამაო, და წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა და წინაჲსწარ უწყებითა ღმრთისაჲთა წარმართენ სლვანი შენი სანახებსა მას კლარჯეთისასა და აღმართენ უდაბნოსა შინა მონასტერნი — ხანძთაჲ და შატბერდი, საცხონებელად სულთა და საყუდებელად მრავალთა, ხოლო მას შინა შეკრებულნი ძმანი სიმდაბლითა თჳსითა მიიწინეს საზომსა შენსა, და განასხმიდენ სულთა უკეთურთა და განჰკურნებდენ ყოველთა სნეულთა და კეთილქებისა გალობითა გიგალობდენ, ვითარცა მწყემსსა დიდსა და ქადაგსა სარწმუნოებისასა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

კმაჲ 7

კეთილ-მონაო სახიერო და სარწმუნოო, კეთილო მუშაკო ქრისტჱს ვენახისაო, შენ სიმკნითა და აკოვნად სიმძიმე დღისაჲ იტჳრთე და მოცემული ტალანტი აღაორძინე, რომლისათჳსცა განგეკუნეს შენ ბჭენი ზეცისანი და შეხუედ სიხარულსა უფლისა შენისა სახიერისასა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად, რაჲთა ჩუენცა აღძრულნი საღმრთოჲთა სურვილითა, დაუდუმებელად გნატრიდეთ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყჳსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თჳნიერ თესლისა მშობელო, და თჳნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

სტიქარონსა ზედა დასდებელი. კმაჲ 8

სიტყჳთა და საქმით ადიდე ღმერთი დიდებული და მცნებათა მისთა იწურთიდ მარადის, დღისი და ღამით გონებითა წმიდითა, და ვითარცა სუეტი ნათლისაჲ, ბრწყინვალე ლოცვაჲ შენი აღიწეოდა ზეცას, სანატრელო მამაო გრიგოლ, გჳთხოვე ქრისტჱსგან დიდი წყალობაჲ.

მუხლი. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

მოაკუდინე შენ გულისთქმაჲ და განაცხოველე სიწმიდჱ, და შეიყუარე წმიდა ქალწულებაჲ, და ვითარცა ნათელი, შთაიცუ სიწმიდჱ, და ვითარცა გურიტი სიმშჳდით ჰმონებდი ქრისტესა გონებითა უბიწოჲთა, სანატრელო გრიგოლ, შემკული საღმრთოჲთა გულისჯმის-ყოფითა.

მუხლი. ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად.

შეგამკო ღმერთმან, ნათლითა სასწაულთაჲთა და მადლთა საღმრთოჲთა ბრწყინვალებითა, სამ-გზის სანატრელო, და აღავსო სული შენი სიბრძნითა, და ვითარცა წყაროჲ ცხოველი და თუალი დაუწყუედელი აღმოაცენებ მოძღურებათა საღმრთოთა, აღორძინებისათჳს ქრისტჱს სამწყსოსაჲთა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სიმრავლჱ მონაზონთა წინამძღურად აღგიარებს, ღმერთშემოსილო მამაო გრიგოლ, რამეთუ აღივსებიან საღმრთოჲთა მით მადლთა, რომელ დაუტევე, და იშუებენ საკსენებელსა შენსა, თანამოსაგრეო წმიდათა მამათაო, მათ თანა ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა შეიწყალნეს მან სულნი ჩუენნი ოხითა შენითა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მაღლისაო, ვედრებაჲ მონათა შენთაჲ შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაჲ შეიწირე და გჳთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

ტროპარი I

ნიშთა და სასწაულთა მოქმედად გამოგაჩინა შენ ღმერთმან, სანატრელო, და მოგცა ჴელმწიფებაჲ განსკმად სულთა ბოროტთა და ყოველთავე სნეულებათა კურნებად, ღმერთშემოსილი, რომლისათჳსცა საღმრთოჲთა დიდებითა შენითა ვიქადით და გევედრებით: კლარჯეთის სავანეთა კეთილად განმგებელო მოღუაწეო და უდაბნოთა ქალაქმყოფელო, მამაო გრიგოლ, მეოხ-გუეყავ მოსავათა შენთა და გჳკსენ ყოვლისაგან განსაცდელისა ქრისტეანენი.

ტროპარი II

აღმობრწყინდი ვითარ მთიები ზეცისა სამყაროსა და შეჭურვილმან მადლითა სულისა წმიდისაჲთა განაბრწყინვენ სამწყსოჲ შენი ღმრთისმეცნიერებითა, ღირსო მამაო, და მიიწიე რაჲ სანახებსა მას კლარჯეთისასა, აღმართენ უდაბნოსა შინა მონასტერნი დიდშუენიერნი სადიდებელად ღმრთისა და საცხონებელად სულთა მრავალთა, მოძღუარო და განმანათლებელო ივერთა ერისაო, ნეტარო გრიგოლ, მეოხ-გუეყავ წინაშე ქრისტჱს მეუფისა და გჳთხოვე წყალობაჲ.

ცისკრად. ღმერთი უფალსა ზედა

ტროპარი ღირსისა. დიდებაჲ... იგივე **აწდა...**

რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განკორციელდა, ჯუარცმაჲ ნებსით თავს იდუა, რომლისათჳსცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იკსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა. კმაჲ 1

ანგელოზთა მწყობრნი...

ცხორებაჲ კეთილმსახურებით ქუეყანასა ზედა აღასრულე, და გამოშჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, ღმერთშემოსილო მამაო, და განანათლებ შენდამი მსწრაფლ მოლტოლვილთა, წმიდაო გრიგოლ, აწცა გამოაბრწყინვე გულსა ჩუენსა ნათელი ჭეშმარიტი და მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად.

2-გზის

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

განეცხადების საიდუმლოჲ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვკმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა. კმაჲ 4

განეცხადე დღეს...

ნათლითა ჰბრწყინავ შენ მიუახლებელითა, და ვითარცა ვარსკულავი გამობრწყინდი უდაბნოსა შინა კლარჯეთისასა და განამრავლენ სამწყსოჲ ქრისტჱსი, ღირსო მამაო, ხოლო ჴსენებისა შენისა აღმასრულებელთა ჴსნაჲ გჳთხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარემან. **2-გზის**

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწოო, წმიდაო, საღმრთოჲსა სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევ, რომლისათჳსცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

შემდგომად სადიდებელისა წარდგომა. კმაჲ 8

სიბრძნე

სიჩჩოჲთგან განწმედილ-იქმენ შენ, მარადის ჴსენებულო ღირსო მამაო, ვითარცა ჭეშმარიტად განათლებული, და ქუეყანასა ზედა, ვითარცა ანგელოზი იქცეოდი, რამეთუ ჴორცნი მოაკუდინე მოღუაწებითა და საღმრთოჲთა შურითა შენითა სამებისა წმიდისა სათნოდ გამოშჩნდი, რომლისათჳსცა გუნდსა მონაზონთასა შეერთე და საწუთოთა შუებათაგან სიმაღლედ აღიყუანენ ერნი მორწმუნეთანი, ღმერთშემოსილო გრიგოლ,

ეველრე ქრისტესა ღმერთსა ცოდვათა მოტევებისა მონიჭებად, სურვილით პატივის-მცემელთა კსენებისა შენისასა.

2-გზის

დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თანა დაუსაბამოჲ სიტყუაჲ მამისაჲ, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუაჲ განზრქებოდის, ხოლო ძჱ ღმრთისაჲ ძედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოჲ, იესუ ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

აღსავალი, ანტიფონი 1. კმაჲ 4

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთჳს გევედრები: შემწე-მეყავ და მიკსენ სახიერ.

რომელთა გძულთ სიონი, სირცხჳლეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განკმული თივაჲ შეგჭამნესთ გეენიამან.

დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცკოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების და განჰბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

წარდგომაჲ, კმაჲ 7

პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

მუხლი. რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისავეთჳს, რომელი ესე მომაგო მე.

ყოველი სული... სახარება ლუკასი, თავი 6. მუხლი 17. **(მას ჟამსა შინა, დასდგა იესუ...)** დასასრული მუხლი 23. **(მრავალ არს ცათა შინა...)**

შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი.

თვით-კმოვანი. კმაჲ 6.

ყოველსა ქუეყანასა განხდა კმაჲ წარმართებისა შენისაჲ, ღმრთივგანბრძნობილო მამაო, ამისთჳს ზეცათა შინა ჰპოვე სასყიდელი შრომათა შენთაჲ, და ეშმაკთა გუნდი წარსწყმიდე და ანგელოზთა წესსა მიიწიე, რომელთა უბიწოჲთა ცხორებითა სწორ-იქმენ, წმიდაო გრიგოლ, კაცნიერებაჲ გაქუს წინაშე ღმრთისა, მშჯდობაჲ ითხოვე სულთა ჩუენთათჳს.

კანონი ღმრთისმშობლისა. მუხლი 6

სექტემბრის 28-ს იძიე

კანონი ღირსისა, მუხლი 8. კმაჲ 1

გალობა 1, უგალობდითსა

ძლისპირი: სასწაულითა იკსნა ერი უფალმან და ზღუაჲ მღელვარჱ სიტყჳთ განაკმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქალწულისაგან და წარმიძღუა ჩუენ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობდეთ.

აღაკვენ თუალნი სულისა ჩუენისანი განცდად ბრწყინვალებასა მადლთა შენთასა, ღირსო მამაო, ხოლო ორღანოჲ ენისაჲ აღძარ დიდებად შენდა, რაჲთა ჯეროვნად გიგალობდე შენ, გრიგოლ, სიქადულო მამათაო.

ხატებაჲ საღმრთოჲ სიჩჩოჲთგან დაიმარხე ტრფიალებითა ჩუენთვის ჩჩვილ-ქმნულისაჲთა, იწყალა რაჲ გული შენი, ღმერთშემოსილო მამაო, და ჰასაკისა თანა აღმაღლდებოდე ძალითი ძალად სულისა სრულებითა.

აღძრვაჲ ვნებათაჲ სიყრმითგანვე დასთრგუნე ფერკთა მათ ქუეშე სულისათა, ნეტარო მამაო, და სიტკბოებაჲ საცნობელთა მლიქნელი, ყოვლად არა დაგიტკბა მოლოდებითა წარუალთა მათ ტკბილთა საშუებელთაჲთა, წმიდაო გრიგოლ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დასაბამი სიბრძნისაჲ მოიგე, დასაბამსავე სიყრმისა შენისასა, ღირსო მამაო, და შიშსა უფლისასა შემსჭვალენ შენ ჯორცნი, წმიდაო გრიგოლ, და მიერ აღიწიე სიყუარულსა მას უშიშსა წმიდათასა და მადლითა ღმრთისაჲთა განჰბრწყინდი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სული ჩემი დაცემული მრავალთა სალმობათაგან, ჶ, ღმრთისმშობელო ყოვლადდიდებულო, განჰკურნე, რაჲთა მადლობისა კმითა წადიერებით გადიდებდე შენ, მარადის.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: ღმერთო, მოხედენ მონათა გალობასა და დაამდაბლე სიმაღლჱ მაცთურისაჲ და ზესთა აღამაღლე დღეს ეკლესიაჲ, და შეუშფოთებელად დაამტკიცენი მოსავნი შენნი მართლმადიდებლობასა.

უსხეულოთა გუნდსა თანა აღმაღლდი, რაჟამს შრომათა ღუაწლი ეტლ-უყავ სულსა და აღიწიე საქმითა ხედვათა მიმართ მაღალთა, სანატრელო მამაო, და უხილავთა ხილვად ღირს იქმენ, წმიდაო გრიგოლ.

ქნარად სულისა ცკოველისა გამოშჩნდი, მორთულ ძალთაგან სულისათა, ღირსო მამაო, და გამოჰბრწყინდი ვარსკულავად უდაბნოჲსა და სიტყუათა საუნჯჱ, ვითარცა ოქროჲ დააუნჯე შენ ღმრთისა ეკლესიასა, ნეტარო გრიგოლ.

მარხვითა ჯორცნი შეზღუდენ, სანატრელო, და ვნებათა აღძრვანი მოაკუდინენ ლოცვითა და მღვიძარებითა, რომლისათჳსცა სულისა წმიდისა ძალმან დაიმკჳდრა შენ თანა და მნათობად ცისკიდეთა გამოგაჩინა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

რტო ნაყოფიერი იქმენ შენ, ღმერთშემოსილო, აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთისმსახურთა, და-რაჲ-ენერგე თანა წარსადინელსა საღმრთოთა წერილთასა, და გამოიღე ნაყოფად ტკბილად გულის-კმის-ყოფაჲ მათი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წინაჲსწარ გიხილა შენ, ბჭედ ნათლისად ეზეკიელ, რომელი განვლო მეუფემან, ვითარცა უწყის, ქალწულო უხრწნელო, ამისთჳს გევედრები მე, განმიხუენ სინანულისა ბჭენი მიმყვანებელნი სასუფეველად.

წარდგომა

განაბრწყინვე ჟამნი შენნი, სანატრელო, უდაბნოსა შინა ძლიერად მოღუაწებითა, რომლითა მიეახლე ბრწყინვალებასა საღმრთოსა, მამაო გრიგოლ, და მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთა ურიცხვთაჲ ქრისტჱს მიერ გჳთხოვე მედღესასწაულეთა კსენებისა შენისათა.

გალობა 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: პირველ აუწყა წინაჲსწარმეტყუელებით ცხორებაჲ კაცთა ამბაკუმ და იტყოდა: რისხვასა შინა მოვიკსენი წყალობაჲ, ჩრდილოჲთ მაღნართათ მო-რაჲ-ხუედ შენ, მაცხოარ, ერისა ამის სიტყუაჲ დამბადებელი.

არა დაჰფარნა ღმერთმა შრომანი შენნი, არამედ ნიშთა და სასწაულთა მიერ განჰსთქუა ბრწყინვალებაჲ მოღუაწებათა შენთაჲ, და ყოველთა შორის საწადელ-ყო სიტყუაჲ და ხილვაჲ შენი, ღმრთივსანატრელო.

იწურთიდ სიყრმითგან წიგნთა ღმრთივსულიერთა და აღიწიე თავსა სრულებათასა, რაჟამს გონებაჲ წმიდა-ყავ ვნებათაგან და სიწმიდითა სულისა შენისაჲთა ექმენ სავანე სულსა ყოვლად წმიდასა.

იქმენ, ნეტარო, მიმსგავსებული ღმრთისა, მამაჲ ობოლთა და საზრდელი მშიერთა, სამოსელი შიშველთა და უღონოთა, და მკურნალ სენთა სნეულებისა, მამაო გრიგოლ.

დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა.

ლამპრად ბრწყინვალედ მყოფთათჳს სოფლისათა გამოგაბრწყინვა ნათელმან მამისამან, და ელვარებაჲ სათნოებათა შენთაჲ მიჰფინე ცისკიდეთა, ვითარცა მისისა შარავანდედი, ღირსო მამაო.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქალწულმან ჰშევ და დედობრივ არა განიხრწენ, არამედ დედა იქმენ, და ქალწულადვე ჰგიე, რომლისათჳსცა გიგალობთ, გიხაროდენ, ღმრთისმშობელო.

გალობა 5, ღამითგანსა

ძლისპირი: საცთურთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხვედი შენ, ქრისტე, ამსთობილნი შევსწირავთ შენდა გალობასა, ვითარცა ღირს-ხარ, რაჲთა წარმიძღუენ გზასა მშჳდობისასა, შესულად სასუფეველსა, რომელ აღმითქუ ჩუენ.

ვითარცა ვარსკულავი გამოჰბრწყინდი უდაბნოსა შინა და რომელნი სარწმუნოებით მოივლტიან შენდა მსწრაფლ შეეწევი მათ, ამისთჳსცა გნატრით შენ, და ვითარცა მჯურვალესა შუამდგომელსა გალობით გადიდებთ.

ქველისმოქმედმან, ყოველთა მწყალობელმან, მოგცა სიმდიდრედ ნათესავსა შენსა, ხოლო პირსა შენსა მოსცა სული ცხჴოველი, მსგავსად წმიდათა მოწაფეთა თჳსთა და გყო შენ მეათცამეტედ მოციქულად.

წყაროჲ სულისა წმიდისაჲ გულსა შინა შენსა მოიგე, საიდუმლო სიბრძნისა და მადლისა სიმდიდრითა აღვსებულმან, ჶ, სამგზის სანატრელო მამაო, პატივისმცემელნი შენნი იკსენ განსაცდელთაგან.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ეტრფიალე შენ სიბრძნესა, უდაბნოსმოყუარეო, და შეიყუარე იგი უფროჲს ყოვლისა, რომლისათჳსცა განისუენა შენ თანა, და ბაგეთა შენთა მიერ წყაროჲ მადლისაჲ აღმოაცენა თაფლისა უტკბილესი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

წმიდა-ყო ღმერთმა საშოჲ შენი ყოვლადწმიდაჲ, სძალო, სიწმიდით რაჲ დაემკჳდრა მას შინა, და ჯუარსა ზედა ამაღლებულმან დაბადებულნი აღამაღლნა მისთანა.

გალობა 6, ღაღადყავსა

ძლისპირი: შთახდა იონა სიღრმესა მას ზღჳსასა და ღაღადებდა ღმრთისა მიმართ ვედრებით: აღმომიყვანე დანთქმისაგან, უფალო, ხოლო მე, ქრისტე, შენდა მიმართ ვღაღადებ: უგულებელს-ჰყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლჱ.

ოდეს ბოროტი მტერი ეკლესიისაჲ მოკულასა შენსა ჴადოდა და ხანძთისა იავარ-ყოფასა, ცეცხლმან შურისა უფლისამან აღაგზნა გონებაჲ შენი, ღმერთშემოსილო, და ლოცვითა შენითა უტყვ-ყავ პირი მისი მგმობარი ღმრთისაჲ, და სრულიად წარსწყმიდე.

დიდო მეუდაბნოეო, კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთაო, აწცა ნუ დაიდუმებ მოღუაწებასა ჩუენთჳს ქრისტჱს მიმართ, რამეთუ ყოვლადვე ძალგიძს შეწევნაჲ ყოველთაჲ, რომელნი ლოცვათა შენთა ესუენ და მეოხებასა შენსა მოივლტიან.

სიწმიდისა გჳრგჳნითა, ვითარცა ღუაწლისა მძლჱ, გჳრგჳნოსან-გყო ქრისტემან მეუფემან, სანატრელო მამაო გრიგოლ, და წმიდა თავი შენი სამკაულითა თვალთშეუდგამითა განაშუენა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვნებათა დაფარულისა და ცხადთა მჴდომისა ძლიერად მბრძოლო, გრიგოლ სანატრელო, კადნიერებაჲ გაქუს ღმრთისა მიმართ, ითხოვე შეწევნაჲ, რაჲთა განვერნეთ მტერსა სულთა ჩუენთასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ახლად ყრმად გჳშევ ჩჳენ უწინარესი საუკუნეთა უჟამოდ, მამისა თანა მოსაყდრე, ღმრთისმშობელო, რომელმან ჯუარისა მიერ ცოდჳთა დაძუელებული კაცნი განაახლნა და ღმრთეებასა იზიარნა.

კონდაკი

უღელი იგი ქრისტჱსი მიიღე, ღმერთშემოსილო მამაო გრიგოლ, და მხართა შენთა ზედა იტჳრთე ჯუარი მისი, ვნებათა მისთა საღმრთოთა საწერტელად ყოვლადწმიდად ჴორცთა შინა შენთა მტჳრთველმან, რომლისათჳს საღმრთოჲსა დიდებისა მისისა ზიარად გამოშჩნდი, მომგებელი ჯილდოდ ღირსებისა მოსაგებელსა.

იკოსი

ძირთაგან კეთილთა აღმოსცენდა-რაჲ ნაყოფი შუენიერი, სიჩოჲთგანვე ღმერთშემოსილი მადლითა აღიზარდა, უფროჲს ვიდრეღა სძითა, და დაუმორჩილნა ჴორცნი მოკუდავნი სულსა უკუდავსა და იღუაწა ვიდრე სიკუდილადმდე, და გან-რაჲ-ვიდა სოფლით, დიდებით მამათა კრებულსა თანა აღირაცხა და მეოხ-არს ჩუენთჳს, რომელნი ვადიდებთ საკსენებელსა მისსა ყოვლადგანათლებულსა.

გალობა 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: სიყუარულითა ყოველთა მჴსნელისაჲთა არად შეჰრაცხეს ყრმათა რისხვაჲ მძლავრისა ღმრთის მოძულისაჲ, და ცეცხლსა შეთხეულნი არა შეიწუნეს და ესრჱთ ღაღადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

დღესასწაულობს ერი შენი, ნეტარო, კსენებასა შენსა და ღაღადებს შენდა მომართ: მოგუხედენ, ჶ, მამაო სანატრელო, ზეცით-გარდამო და გჯკსნენ სოფლისა ღელვათაგან დაუნთქმელად, რომელთა ესე გუასწავე გალობაჲ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

შეურაცხ-ყავ ყოველივე ამაოებაჲ სოფლისაჲ, ღირსად დიდებულო, და ვითარცა თიხაჲ დასთრგუნე ცუდი დიდებაჲ, და სიგლახაკისა მიერ სიმდიდრჱ დაულევნელი სასუფეველისაჲ ჰპოვე ზეცათა შინა, მარადის მგალობელმან: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

გიხაროდენ, ღმრთისმეტყუელებისა წმიდისა წყაროო, და სიბრძნისმოყუარებისა აღმომდინარეო ფიალო, ყოვლადბრძენო, დიდო მთიებო ყოვლისა სოფლისაო, რომელმან ასწავე ყოველთა გალობაჲ ესრეთ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ეშმაკთა გუნდნი აღსჭრენ, ღმერთშემოსილო, ვითარცა ახოვანმან მჯედარმან მაცხოვრისამან შრომათა მაჯულითა, და დასწუენ ცეცხლებრ ბანაკნი მათნი საკუმილითა ლოცუათა შენთაჲთა: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მადლსა ლოცვისა შენისასა, წმიდაო, ვიქადებთ პირითა და სულითა, დიდებულო, რამეთუ შენ მიერ განსაცდელთაგან და ღელვათა, და მძიმეთა ურვათა, და ცოდვისა ვნებათაგან ვიკსნებით ყოველნი.

გალობა 8, აკურთხევდითსა

ძლისპირი: ყრმანი ბაბილონს შეუწველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაჟამს შენგან იშუა ცეცხლი ღმრთეებისაჲ და დაგიცვა შენ უვნებელად, უბიწოდ, ყოველი ერი მარადის გაკურთხევს შენ.

ჩვეულებისა თჯსისაებრ აღეგზნა ეშმაკი წყობად შენდა, ღმერთშემოსილო, რამეთუ ეპოვა მას ჭურჭელი სიცრუისაჲ, ვითარცა პირველ იუდა მიმცემელი, და განეწონა მასვე მაჯული თჯსი.

იხილა ყოვლად საწყალობელმან, განჩემებულმან ეშმაკისა სადგურმან სუეტი ნათლისაჲ და ჯუარი თუალთშეუდგამი გარემოს შენსა, ღირსო მამაო, შეძრწუნდა ფრიად და დახსნდეს ძარღვუნი მკლავთა მისთანი.

შეიწყალე, წმიდაო, განწირული მკულელი შენი და მიემსგავე ქრისტესა, განკურნე-რაჲ ტირილით შევრდომილი შენდა და განუტევე მშჯდობით, რამეთუ შენ ხარ შემწე მონანულთა, რომელნი აკურთხევენ ქრისტესა და ამაღლებენ მას უკუნისამდე.

ვაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.

შემოკრბა-რაჲ გუნდი წმიდათა მამათაჲ მიცუალებასა შენსა, სანატრელო, სიხარულითა აღივსე ხილვითა მათითა, და აკურთხე ყოველი, და სარწმუნოდ და ცხადად ასწავე გალობაჲ ესრჱთ: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფალსა და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იკსენ კაცობრივი ბუნებაჲ წყევისაგან შობითა შენითა, ქალწულო უბიწოო, რამეთუ შევ მხოლო კურთხეული, მაკურთხეველი ჩუენი, აღმავსებელი მადლითა ცათა და ქუეყანისა.

ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.

გალობა 9, ადიდებდითსა

ძლისპირი: ჯერ-არს დუმილი, ვინაჲთგან ვერ შეუძლებთ ღირსებით ქებად შენდა დღეს, ღმრთისმშობელო, ხოლო არავე დავდუმნეთ შიშისათჯს, არამედ მსგავსად უძლურებისა ჩუენისა, შევსწიროთ შესჯმაჲ, რომლითა გადიდოთ შენ.

ზეციურ ძალთაგან გესმა ჯმაჲ სანატრელი, მსახურო ღმრთისა მაღლისაო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და კაცსა ზეცისასა გიწოდდა მეუფჱ ცათაჲ ქრისტჱ, და მიხუედ სიხარულით და უფლისა თანა იხარებ საუკუნოდ.

პატიოსანთა საკმეველთა კეთილ-სულნელებამან აღავსო საყუდელი შენი, ღირსო მამაო, და მხიარულებით ანგელოზთა კრებულმან შეიწყნარა სული შენი უბიწოჲ, რომელთა შორის იშუებ, ღმერთშემოსილო.

ვერ შემძლებელ-არს ენაჲ კაცობრივი მითხრობად ღუაწლთა შენთა, წმიდაო სათნოო ღმრთისაო, რამეთუ განვლე სოფელი ესე ღირსად, დიდებულო, და აწ შუებასა სამოთხისასა შეერთებული, ანგელოზთა თანა იხარებ, და ჰსუფევ ქრისტჱს თანა უკუნისამდე.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ითხოვე, ღირსო, ყოვლისა სოფლისათჳს მშჳდობით დაცვაჲ და ერსა ჩუენსა – ძლევაჲ და დამტკიცებაჲ მართლმადიდებლობისაჲ ქრისტჱს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იტჳრთავ უკვე მტჳრთველსა ყოველთასა წმიდათა მიერ კელთა შენთა, რომელსა ევედრე, წმიდაო, უცხოჲსაგან ბოროტის მოქმედებისა უვნებელად ცხორებად ჩუენდა.

განმანათლებელი

გამოსჩნდი შენ, ვითარცა სახჱ ბრწყინვალჱ და შეიწყნარე სული წმიდაჲ, ღირსო მამაო, რომლისა მიერ თუალნი სულისანი ხილვითა საღმრთოჲთა განაბრწყინვენ, და განათლებული ხედევდი რაჲ მომავალთა, ყოველსა ყოფადმდე იტყოდი უბიწოებითა საღმრთოჲთა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, წმიდაო გრიგოლ. **(2-გზის)**

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლად ჭეშმარიტად აღგიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰშევ გამოუთქმელად დამკსნელ ჯუარითა სიკუდილისა და თჳსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

აქებდითსა ზედა დასდებელი. მუხლი 4. კმაჲ 8

ჱ, სასწაული

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო გრიგოლ, შენ უღელი ქრისტჱსი აღიღე ქედსა ზედა, და ახოვნებითა ზედა დასხმანი მტერთანი შეჰმუსრენ და უდაბნონი ქალაქად გამოაჩინენ, ამისთჳს გნატრით შენ და სარწმუნოებითა გიღაღადებთ: ჱ, მშუენიერო კლარჯეთისა დიდებაო, შენ ქრისტემან მკჳდრ-გყო უსხეულოთა თანა, მეოხ-გუეყავ ჩუენ. **2-გზის**

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო გრიგოლ, სარწმუნოებით შემოკრებულნი ქართველნი, ვითარცა მოღუაწესა დიდსა პატივს-გცემთ შენ, და სარწმუნოებითა გიღაღადებთ: ჱ, წმიდასა ანტონს მიმსგავსებულო მეუდაბნოეო, რომელი სიხარულითა განხუედ უდაბნოდ უალად, და მკეცთა-წილ დაამკჳდრენ კაცნი ანგელოზთა სწორნი, მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, რაჲთა გუაცხოვნნეს ჩუენ.

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო გრიგოლ, გამოშჩნდი შენ კანონ მონაზონთა და სიქადულ მართლმადიდებელთა, დამატკბობელ და ბრწყინვალე მნათობ ყოვლისა სოფლისა და უძლურთა უგამოცდილეს და პატიოსან მკურნალ, რამეთუ არა შეშინდი შიშისაგან მაცთურისა მტერისა და მშვილდნი და ისარნი ეშმაკთანი შემუსრენ და მძჳნვარენი საფრჯენი მათნი მოაუძლურენ საღმრთოჲთა სწავლითა შენითა. ჱ, ნიჭთა შენთა მოცემულთა, ნეტარო, რომლისა მიერ ბოროტთა ეშმაკთა არცხვინე და განაბრწყინვენ დიდებაჲ ქრისტჱსი.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

კმაჲ 5

დავბეროთ საყჳრსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ყოვლადქებულისა მოძღურისა ჩუენისასა. შემოკრბით ჱ, მორწმუნენო ქართველნო და შესკმითა სულიერითა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელსა მამასა ჩუენსა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძლურნი – სენთა მკურნალსა, ხოლო ჭირვეულნი – მკსნელსა, შეცოდებულნი – მჯურვალესა მეოხსა, მწუხარენი – განმაცხრობელსა და მავალნი – მოგზაურსა, მენავენი – მმართებელსა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღმერთშემოსილო გრიგოლ, რაჲთა ლოცვათა შენთა მიერითა თხოვითა შეგვჭურნეს

ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თჳსითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენთა ზედა და გუაცხოვნნეს ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლისა, დემეტრე ქართველთა მეფისა,

ბაგრატოვანისა.

ღმრთისმშობელი და ყოვლადპატიოსანი,
დედაჲ ქალწული, შუენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი,
შენგან იშუების, მეფჱ გჳრგჳნოსანი
და მას ჰმონებენ მეფენი მრავალყმოსანი.

დიდებაჲ მაღალი გრძლად და განტევებაჲ.

ლიტურღიასა ზედა: მომიკსენენი კანონისაგან ღირსისა, გალობა 3 და 6.

წარდგომა, კმაჲ 7. პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

მუხლი. რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისავეთჳს, რომელი ესე მომაგო მე.

სამოციქულო I კორინთელთა, თავი 12, მუხლი 7. **(ძმანო, თითოეულსა ჩუენსა...)** დასასრული, მუხლი 12. **(კაცად-კაცადსა ვითარცა ჰნებავს...)**

ალილუია, კმაჲ 6. ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა.

მუხლი. ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი.

სახარება მათესი, თავი 11, მუხლი 27. **(ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა...)** დასასრული, თავი 12, მუხლი 1. **(ტჳრთი ჩემი სუბუქ-არს...)**

განიცადე: საკსენებელად საუკუნოდ.

შეადგინა: **თინათინ მჭედლიშვილმა**